სტატისტიკური ინფორმაცია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2011 წლის 01 იანვრიდან 2012 წლის 01 იანვრამდე პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 940 საჩივარი (განცხადება, წერილი - საიდანაც 880 შემოსულია 2011 წელს);

2010 წელს განსახილველად იმყოფებოდა 1116 საჩივარი (განცხადება, წერილი - საიდანაც 1053 შემოსული იყო 2010 წელს);

2011 წელს, წინა 2010 წელთან შედარებით მიღებული იქნა 173 ერთეულით – 16,4%-ით ნაკლები საჩივარი (განცხადება, წერილი).

აღნიშნულის შესწავლის შედეგად:

1. 422 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა – 44,9%;

2. 19 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით (აქედან 2 საქმე გაერთიანდა ერთ წარმოებად) – 2%;

3. 8 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება – 0,85%, საიდანაც 2 დისციპლინურ საქმეზე მიეცნენ მოსამართლეები დისციპლინურ პასუხისგებაში, 3 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათი, ხოლო 3 დისციპლინურ საქმეზე მიმდინარეობს გამოკვლევა;

4. სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან, წერილებთან) გაერთიანდა იგივე საკითხებზე განმეორებით შემოსული, ასევე გადაიგზავნა ქვემდებარეობით და მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი 430 განცხადებაზე და წერილზე – 45,75%;

5. 61 საჩივრის (განცხადების) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება – 6,5%.

სტატისტიკური ინფორმაცია

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2011 წელს განხილული საქმეების შესახებ.

2011 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველად შევიდა 2 დისციპლინური საქმე, გასული წლის ნაშთი – 25, სულ – 27 დისციპლინური საქმე.

2 დისციპლინურ საქმეზე მიმდინარეობს წარმოება, ხოლო განხილული იქნა 25 დისციპლინური საქმე – 24 მოსამართლის მიმართ, საიდანაც:

1. 2 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით (2 მოსამართლე).

2. 5 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა (4 მოსამართლე).

3. 9 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – საყვედური (9 მოსამართლე).

4. 2 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – მკაცრი საყვედური (2 მოსამართლე).

5. 2 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება (1 მოსამართლე).

6. 6 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება (6 მოსამართლე).